ქ.თბილისი 2017 წლის 22 თებერვალი

მინდობილობა №22.02.2017-1

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ანტრე 2008"-ს ს/კ 204549792, დირექტორი თამილა მაისურაძე (შემდგომში "მარწმუნებელი") გავცემ წინამდებარე მინდობილობას, გრიგოლი იმედაძეზე მცხოვრები ქ.თბილისში, დიღმის მასივი მე-5 კვ. მე-20 კორპუსი ბინა 91, პირ. №01006013589, (შემდგომში "რწმუნებული"). აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, გრიგოლი იმედაძეს ენიჭება უფლებამოსილება წამოადგინოს და დაიცვას შპს "ანტრე 2008"-ს ინტერესები საქართველოს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, საგამოძიებო სამსახურში, მთავარ პროკურატურაში, ფინასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ასევე სხვა კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. "რწმუნებული" უფლებამოსილია "მარწმუნებლის" სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. მათ შორის: "მარწმუნებლის" სახელით შეიტანოს განცხადება, სარჩელი ან საჩივარი ყველა ინსტანციის სასამართლოში, სააღსრულებო ბიუროში, საგამოძიებო ორგანოში, პროკურატურაში ან სხვა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შესაგებლები და მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოში/ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს და განაცხადოს შუამდგომლობები, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინოს თავისი დასკვნები და მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, მოსაზრებები და დასკვნები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, შეამციროს ან გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, სცნოს ან უარყოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს საჩივარი, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის, გადასახდევინებლად წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი, გააფორმოს შესაბამისი/მორიგების ხელშეკრულება სააღსრულებო ბიუროსთან, კერძო აღმასრულებელთან.

2. წინამდებარე მინდობილობა გაცემულია უვადოთ

შპს "ანტრე 2008"-ს დირექტორი

თამილა მაისურაძე თ. მაისურაძე